



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

ქუთაისი 4600, ირაკლი აბაშიძის გამზირი № 26
პარლამენტის სასახლე

ბრძანება

N 146/3

21/04/2017

„სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2016 წლის 23 დეკემბრის №253/3 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 107-ე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შექმნისა და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 15 დეკემბრის №65-ის დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად:

1. „სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2016 წლის 23 დეკემბრის №253/3 ბრძანების პირველი მუხლის:

ა) მე-3 და მე-4 პუნქტები ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-6 პუნქტის:

ბ.ა) „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

ბ.ბ) „დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) 21-ე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ელენე ნიჭარაძე (სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება);“.

2. ბრძანება საჯაროდ გამოცხადდეს 2017 წლის 21 აპრილს და ძალაში შევიდეს საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

ირაკლი კობახიძე